

პომიდორის მოვლა-მოყვანის ტექნოლოგია

პომიდორი ერთწლიანი, ორლებნიანი, ბალახოვანი მცენარეა ძალაყურძენასებრთა ოჯახიდან. იგი მსოფლიოში სამხრეთ და ცენტრალური ამერიკის რეგიონებიდან გავრცელდა. მისმა გავრცელებამ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მაშტაბური ხასიათი



XVIII საუკუნეებში მიიღო. დღეისათვის იგი მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაშია გავრცელებული. საქართველოში იგი ყველა რეგიონში მოჰყავთ, როგორც ძვირფასი სამეურნეო კულტურა. მისი ნაყოფი გამოირჩევა მაღალი გემური თვისებებითა და მრავალმხრივი მოხმარებით. იგი გამოიყენება, როგორც ნედლი სახით, ასევე გადამუშავებული ფორმითაც (ტომატ პასტა, ტომატ

პიურე, წვენი, მწვნილი და ა.შ.). მისი ნაყოფი მდიდარია ვიტამინებითა და სასარგებლო ნივთიერებებით. ასევე შეიცავს ლიკოპენს, რომელიც ამცირებს ონკოლოგიურ დაავადებათა ალბათობას.

ბიოლოგიური თავისებურებანი. პომიდორი სითბოს, ტენისა და სინათლის მოყვარული მცენარეა. მისი ჯიშები ზრდის სიმაღლის მიხედვით იყოფა ორ ჯგუფად: დეტერმინანტული ანუ დაბალმზარდი და ინტერტემინანტული ანუ მაღალმზარდი. დაბალმზარდი მცენარის ბუჩქი 50-70 სმ-ის არწევს, მაღალმზარდისა კი 70 სმ-დან 500 სმ-მდე.

სავეგეტაციო პერიოდის მიხედვით გვხვდება საადრეო (100 დღემდე), საშუალო (105-120 დღე) და საგვიანო (120 დღეზე მეტი) ჯიშები.

პომიდორის ჯიშები ერთმანეთისაგან ასევე განსხვავდებიან ფორმის, ფერისა და ზომის მიხედვით. ნაყოფის მასის მიხედვით პომიდორის ჯიშები შეიძლება იყოს წვრილნაყოფა (60 გრამამდე), საშუალო (60-100 გრამი) და მსხვილნაყოფა (100 გრამზე მეტი) ფორმის მიხედვით კი ბრტყელი, მრგვალი და წაგრძელებულ-ოვალური. ფერის მიხედვით კი წითელი, ვარდისფერი და ყვითელი.



პომიდორის მოვლა-მოყვანის თავისებურებანი. იგი მოჰყავთ როგორც ღია ისე დახურულ გრუნტში. პომიდორის ნაადრევი მოსავლის მისაღებად ჩითილები გამოჰყავთ. ჩითილები გამოჰყავთ პლასტმასის კასეტებში, ერთჯერად ჭიქებში ან კუბურებში ჩათესვით, პიკირებით ან პიკირების გარეშე კვალსათბურებში ან ფირიან სათბურებში. ჩასათესი სათავსო წინასწარ შევსებულია სპეციალურად მომზადებულ სუბსტრატით, რომლის შემადგენლობაში შედის ტყის მიწა, გადამ-

წვარი ნაკელი, ტორფი და მინერალური სასუქები, ხშირად სუბსტრატს პერლოიტსაც უმატებენ. დათესვის ვადის გადაცილების დროს თესლს წინასწარ, 24 საათის განმავლობაში წყალში ალბობენ შემდეგ მას აშრობენ და თესავენ. თესლის მაღალი კონდიციის შემთხვევაში თითოეულ კასეტაში ან ჭიქაში თესავენ ერთ მარცვალს, ხოლო თუ თესლი კერძო ფერმერულ მეურნეობაშია ნაწარმოები მაშინ მეტი აღმონაცენის მიღების მიზნით სასურველია 2-3 მარცვლის ჩათესვა. თესლის ჩათესვისთანავე ფარავენ ნიადაგით და რწყავენ. აღმონაცენის გამოჩენისთანავე, თითოეულ ქოთანში ან კასეტაში ტოვებენ მხოლოდ ერთ მცენარეს. თესლის ჩათესვის სიღრმე არ უნდა იყოს 1-1,5 სმ-ზე მეტი ან ნაკლები.

ნორმალური ჩითილის მისაღებად კვალსათბურებში და სათბურებში უნდა დავიცვათ სითბოსა და ტენის რეჟიმი. აღმოცენებიდან პირველი ნამდვილი ფოთლის განვითარებამდე ტემპერატურა უნდა იყოს 10-12°C ფარგლებში, ხოლო შემდეგ ფოთლის გამოტანის დაწყებიდან 20-21°C, მზიან ამინდში 23-28°C, ხოლო ღრუბლიანში -18-20°C, ღამით კი სასურველია იგი 15-17°C-ის ფარგლებს არ გასცდეს. ამ პარამეტრების დარღვევის შემთხვევაში ჩითილი გამოდის არასტანდარტული და აწოწილი.

ამ გზით მიღებული ჩითილი უკვე 35-40 დღის ასაკში უკვე მზადაა გადასარგავად. ამ დროისათვის ჩითილს უნდა ჰქონდეს 5-7 ნამდვილი ფოთოლი, ამასთან პირველი საყვავილე მტევანი კოკრებით, უნდა იყოს სალი, მსხვილღეროიანი და მუქი მწვანე ფერის.

უქოთნოდ მიღებული ჩითილი ამოღებამდე რამოდენიმე საათით ადრე ან წინა საღამოს ჭარბად უნდა მოირწყას.

ჩითილობის გამოსაყვანად ერთი ჰექტარისათვის საჭიროა 300-500 გრამი სათესლე მასალა. თუ გამოყვანილი ჩითილები კვლებში უნდა გადაირგოს, მაშინ კვლები წინასწარ უნდა მომზადდეს. ჰექტარზე რგავენ 20000-25000-მდე მცენარეს. როგორც წესი ღია გრუნტში რგავენ დეტერმინანტული ანუ დაბალმზარდ ჯიშებს. ასეთი ჯიშები სასუფრე ან საწარმოო დანიშნულებისაა. მანძილი მწკრივებს შორის უნდა იყოს 60-70 სმ, ხოლო მწკრივში მცენარეთა შორის 30-35 სმ-ის დაცილებით, ხოლო საშუალო და საგვიანო 40-70 სმ-ის დაშორებით.



ღია გრუნტში პომიდვრის მოსაყვანად ნაკვეთს ამზადებენ შემოდგომაზე და მოხვნის წინ ნიადაგში შეაქვთ მინერალურ-ორგანული სასუქები. მათი დოზა დამოკიდებულია ნიადაგის ანალიზის აგროქიმიურ მაჩვენებლებზე. საშუალო ნაყოფიერების მქონე ნაკვეთებში ერთ ჰექტარზე გაანგარიშებით შეაქვთ 20-25 ტონა გადამწვარი ნაკელი, ნეშომპალა, კომპოსტები და მინერალური სასუქები P120-160 კგ, K100-150 კგ. თუ ნიადაგის რეაქცია pH-5,5-ზე ქვევითაა, მაშინ საჭიროა ჰექტარზე 10-12 ტონა მოსაკირიანებელი მასალების (დოლომიტი, დეფიკაციური ტალახის, კირქვების და სხვა) შეტანა. პომიდვრის კულტურისათვის ყველაზე კარგია როცა pH 5,7-6,5 ფარგლებშია.

ამის შემდეგ ნიადაგში უნდა მოიხვნას 25-30 სმ-ის სიღრმეზე და თანაბრად გაფანტული მინერალურ-ორგანული სასუქები და მოსაკირიანებელი მასალები ჩაიხვნას ნიადაგში. ჩითილობის გადარგვის წინ ნაკვეთი უნდა მოსწორდეს და ხელით დარგვის შემთხვევაში გაკეთდეს კვლები 6-8 სმ-ის სიღრმის.

გადარგვის წინ ჩითილები უნდა შეიწამლოს ბორდოს 0,6-1 %-იანი ან სპილენძის შემცველი პრეპარატების ხსნარით. დარგვისთანავე საჭიროა მორწყვა. ამისათვის მწკრივების გასწვრივ უნდა გაკეთდეს 16-18 სმ სიღრმის სარწყავი კვლები. კასეტებში გამოყვანილი ჩითილებს რგავენ ჩითილების სარგავი მანქანებით, ხოლო მცირე ნაკვეთებში ხელით.

პირდაპირ ღია გრუნტში დათესვის შემთხვევაში პომიდვრის ნერგები უფრო მეტად გამძლეა ვირუსული და სხვა დაავადების მიმართ, ხანგრძლივად მსხმოიარეა, მაგრამ ნაკლებ მოსავალს იძლევა ვიდრე ჩითილებით დარგული. ამასთან გრუნტში პირდაპირ თესვისას გამძლეებულია საჭირო რაოდენობის აღმონაცენის თანაბრად განლაგება და მისი დაცვა სარეველებისაგან. ამისათვის თესვის დროს თესლს ურევენ გრანულირებულ სუპერფოსფატს, ნახერხს ან ქვიშას. როცა მცენარე კარგად განვითარდება აწარმოებენ რიგთაშორისების კულტივაციას და დამატებით გამოკვებას აზოტოვანი სასუქებით. თუ სამრეწველო დანიშნულებით მოგვყავს სარეველების წინამდებე საბრძოლველად ჩითილების გადარგვამდე 10-15 დღით ადრე ჰექტარზე უნდა შევიტანოთ (ნიადაგში ჩავაკეთოთ) 3-4 კგ ჰერბიციდი ტრეფლანი.



წვრილ ფერმერულ მურნეობაში როგორც წესი პომიდვრის ნერგები უნდა აიკვრას სარზე ან ჭიგოზე. ეს მანამდე უნდა გავაკეთოთ სანამ ნერგი მიწაზე დაწვება. ზრდის მიხედვით პომიდვრის სარებზე რამდენჯერმე (3-5ჯერ) აკრავენ. სამაგრზე აკრული პომიდვრის ნერგი უხვ და ხარისხიან მოსავალს იძლევა. ხშირად მიმართავენ მავთულზე აკვრასაც.

პომიდორი უკეთ ხარობს შემალელებულ კვლებზე რადგანაც გაზაფხულზე ნიდაგი კვლებზე უფრო სწრაფად თბება და მცენარე უკეთ ვითარდება. შემალელებული კვლები ხელს უწყობს ასევე ნიადაგის ნორმალურ დრენაჟირებას. თუმცა გვალვიან პერიოდში ამ მეთოდით დარგულ პომიდორს უფრო ხშირი მორწყვა სჭირდება.

პომიდვრის მცენარე ყველაზე მეტად წყალს მოითხოვს ყვავილობისა და ნაყოფის ზრდის პერიოდში. მორწყვა უკეთესია ჩატარდეს დღის მეორე ნახევარში, აგრილებისას კარგი შედეგი მოაქვს მორწყვასთან ერთად დამატებით გამოკვებას. ვეგეტაციის პერიოდში მცენარე მეტად მომთხოვნია აზოტოვანი სასუქების მიმართ. ვეგეტაციის პერიოდში საჭიროა 2-3 დამატებით გამოკვებების ჩატარება.

გავრცელებული ჯიშები. პომიდვრის გავრცელებული ჯიშებია: დებიუტი, ფლორიდა, ჯინა, ჭოპორტულა, ერმაკი, სულთანი და რიოფუემო ორიგინალი. ეს ჯიშები გამოირჩევიან მაღალი მოსავლიანობით, ნაყოფის კარგი გემოთი, შეფერილობით, ფორმით და ტრანსპარტაბელურობით.



მავნებელ-დაავადებანი. პომიდვრის მცენარეს აზიანებს ისეთი მავნებელ-დაავადებანი როგორცაა: ალტერნარიოზი, ფიტოფტოროზი, სეპტორიოზი, ანთრაქნოზი, კვადოსპორიოზი ანუ მურა ლაქიანობა, ფუზარიოზული ჭკნობა, ჟანგა ტკიპა,



მახრა, ფრთათეთრა, კოლორადოს ხოჭო, გალებიანი ნემატოდა და სხვა. მათ წინააღმდეგ გამოიყენება სხვადასხვა პრეპარატი. მათგან ფართოდ გამოიყენება კომპანია „RACF“ წარმოებული პრეპარატები, როგორცაა: რეგენტი 5,0-0,0 კგ/ჰა-ზე და სტომპი 4 ლ/ჰა-ზე დათესვამდე ნიადაგის მავნებლებისა და ალტერნარიოზის წინააღმდეგ. პოლირამი - 2,0 კგ/ჰა ნერგების გადარგვის შემდეგ

ფოტოფტოროზის წინააღმდეგ აკრობატ მც - 2,0 კგ/ჰა-ზე და ფასტაკი 0,3 ლ/ჰა-ზე ყვავილობის დასაწყისში ალტერნარიოზისა და ფრთათეთრას წინააღმდეგ, კაბრიო ტოპი 2,0 კგ/ჰა და ბი-58 ახალი 1,5 ლ/ჰა-ზე ნაყოფების ჩამოყალიბების პროცესში ფოტოპტოროზისა და ხვატარის წინააღმდეგ, სიგნუმი 1,0-1,2 კგ/ჰა-ზე ნაყოფების ზრდის პერიოდში ალტერნარიოზის წინააღმდეგ, პოლირამი 2,5 კგ/ჰა-ზე ნაყოფების სიმწიფეში შესვლის პერიოდში ალტერნარიოზის წინააღმდეგ. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ადგილმდებარეობისა და დაავადებების გავრცელების მიხედვით პრეპარატები შერჩეული იქნას სხვა კომპანიის წარმოებული სხვადასხვა კონცენტრაციით და მოქმედების მიხედვით. ასევე აუცილებელია, როგორც პესტიციდების ისე ფუნგიციდების გამოყენების შემთხვევაში, გავითვალისწინოთ ლოდინის პერიოდი დრო მცენარეზე შესხურებიდან მოსავლის მოკრეფა-გამოყენებამდე. ამ პერიოდში ხდება პესტიციდების დაშლა და იმ ნიშნამდე დაყვანა, რომელიც უვნებელია ადამიანისათვის.

მოსავლის აღება. მოსავალი იკრიფება დილით. ნაყოფი იკრიფება შერჩევით, ფრთხილად და შემდეგ გადააქვთ ჩრდილში. დამწიფებული ნაყოფი ინახება 7-10°C-ზე, 90-95 % ფარდობითი ტენიანობის პირობებში. ერთი ჰექტარიდან მოსავალი მერყეობს 30-40 ტონის ფარგლებში.